ქ.თბილისის მერიის
არქიტექტურის სამსახურის უფროსს
ბატონ -

მოქალაქე: ლალი ახვლედიანის
წარმომადგენლის: ირაკლი ყანდაშვილის
(პ/ნ 01024033307)
მისამართი: ხვიჩიას 19. ბ.12
ტელ :599 175-075

განცხადება

წინამდებარე საკითხზე რამდენჯერმე მოგმართეთ წერილობით. კიდევ ერთხელ წერილობით მოგმართავთ და ვაფიქსირებთ ჩვენს პოზიციას.

მოგახსენებთ, რომ გახლავართ მოქალაქე ლალი ახვლედიანის წარმომადგენელი, რომელიც გახლავთ ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შპს „მარუხი 2008“-ს მიმართ მიმდინარე ადმინისტრაციული საქმისწარმოების დაინტერესებული მხარე.

კერძოდ, „მარუხი 2008“ (ს/კ 205 261 278) აწარმოებს სამშენებლო სამუშაოებს ქ.თბილისში მარუხის გმირების ქუჩა #15-ში,(საკადასტრო კოდი 01.014.011.058.051) ხოლო ჩემი მარწმუნებელი წარმოადგენს #17-ში მცხოვრებს, რომლის კედელზეც ფაქტობრივ მიბჯენილია ის მშენებლობა, რომელსაც ჩვენი აზრით პროექტის უხეში დარღვევით აწარმოებს „მარუხი 2008“, რასთან დაკავშირებით ზედამხედველობამ 2013 წლის 11 თებერვალს მისცა მითითება #000113, ხოლო 28 თებერვალს შეადგინა შემოწმების აქტი, ხოლო 10 აპრილს შედგა მოსმენა მერიის ზედამხედველობის სამსახურში და შეუჩერა აღნიშნული მშენებლობა დადგენილებით, ხოლო 2013 წლის 28 ივნისის განჩინებით, რომელიც შესულია ძალაში თბილისის სააპელაციო სასამართლომ შეაჩერა მერიის 2013 წლის 08 მაისის #881 განკარგულების მოქმედება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, რაც ზედამხედველობის სამსახურმა აღასრულა 2013 წლის 12 ივლისს და ფაქტობრივ შეუჩერა სამუშაოების წარმოება „მარუხი-2008“-ს.

იმ შემთხვევაში, თუ „მარუხი 2008“ მოგმართავთ პროექტის კორექტირებაზე, ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით ან ნებისმიერი სახის საკითხზე მარუხის ქუჩაზე მიმდინარე მშენებლობის კუთხით, კიდევ ერთხელ წერილობით გთხოვთ, პირდაპირ გვაცნობოთ, როგორც დაინტერესებულ მხარეს და ჩვენთან იყოს ნებისმიერი ნაბიჯი შეთანხმებული, რათა კიდევ ერთხელ არ დაირღვეს ჩვენი კანონიერი ინტერესი, რადგან წინაზე, როდესაც გაიცა მშენებლობის ნებართვა არც ჩვენ და არც სხვა მეზობელი არ ვიყავით ინფორმირებული. ველით გამოხმაურებას.

პატივისცემით,

ირაკლი ყანდაშვილი

15 ივლისი, 2013წ